# ჯორჯიან მანგანეზი

კომპანიის პროფილი, 2018

HEINRICH BÖLL STIFTUNG
სამხრეთ კავკასია

მწვანე ალტერნატივა

# ჭიათურის მანაგანუმის საბადო

- ექსპლუატაცია 1879 წელს დაიწყო;
- 1990 წლამდე მოპოვებული იყო 203 მლნ. ტ მადანი და 108 მლნ. ტ სასაქონლო პროდუქციის რეალიზაცია მოხდა;
- 1990 წლიდან მანგანუმის მოპოვება მკვეთრად შემცირდა;
- 2005 წელს გაიხსნა საწარმოს გაკოტრების საქმის წარმოება.

# ახალი მფლობელი

- 2006 წლის 11 ნოემბრის აუქციონი - ჭიათურის მანგანუმის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლებასთან ერთად სს “ჭიათურმანგანუმის” აქტივებიც გაიყიდა;
- გაიმარჯვა „ჯორჯიან მანგანეზ ჰოლდინგ ლიმითედმა“;
- „ჯორჯიან მანგანეზ ჰოლდინგ ლიმითედი” ბრიტანული კომპანიის სტემკორის  შვილობილი კომპანია იყო;
- 2006 წლის ბოლოსთვის სტემკორმა ჰოლდინგის 75% უკრაინულ „პრივატ ჯგუფს” მიყიდა.

# ჯგუფი „პრივატი“

- უკრაინული პრესის თანახმად, ერთ-ერთი ყველაზე დახურული და არაგამჭირვალე კომპანიაა
- დამფუძნებლები იგორ კოლომოისკი და გენადი ბოგოლუბოვი უკრაინის უმდიდრეს ადამიანთა ხუთეულში შედიან.

# ახალი ძველი მფლობელი

- 2013 წელს „პრივატ“ ჯგუფმა „ჯორჯიან მანგანეზი“და ვარციხეჰესების კასკადი თავის ამერიკულ ჰოლდინგზე Georgia American Alloys-ზე გადააფორმა;
- ქართულ საზოგადოებას ეს ფაქტი გააცნეს, როგორც საწარმოებში ახალი „მენეჯმენტის მოსვლა“.

# ლიცენზია

- ჯორჯიან მანგანეზის საკუთრებაში არსებული წიაღით სარგებლობის ლიცენზია გაცემულია 2006 წელს 40 წლის ვადით.
- ლიცენზიის პირობებით კომპანიას სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოეყო 16 430 ჰა, რომელთაგან ჭიათურის რაიონში არის 13 068 ჰა (რაიონის მთლიანი ფართობის 24%), ხოლო საჩხერის რაიონში 3 362 ჰა.
- პირველა 2013 წელს შემოწმდა.

# გარემოსთვის მიყენებული ზიანი

- 2013-2014 წლებში შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ საქმიანობის შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანმა 357.364.708 ლარი შედგინა.
- ნებართვით დადგენილი პირობების შესრულებისათვის დაწესებული „გონივრული ვადა“ 2013 წლის მარტიდან დღემდე 4-ჯერ გადაუვადდა - 2017 წლის ბოლომდე.

# ზესტაფონის ფერო

- არ აქვს ნებართვა
- არაერთხელ დაჯარიმდა.
- შემოწმების მასალები შსს გაეგზავნა სისხლის სამართის დანაშაულის ნიშნების გამო
- 2015 წელს მესამედ ჩატარებული შემოწმებისას დაადგინა რომ მხოლოდ ატმოსფერულ ჰაერზე მავნე ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანი შეფასდა 60 472 413,6 ლარად.

# სპეციალური მმართველი -11.05.2017

- „გაირკვა, რომ მდგომარეობა როგორც მდინარის, ასევე ნიადაგის დაბინძურებისა და დეგრადაციის კუთხით არათუ გამოასწორა კომპანიამ, არამედ ბევრად დაამძიმა, რაც ადგილზე ფაქტობრივად ეკოლოგიური კატასტროფის მდგომარეობის ტოლფასს სიტუაციას ქმნის“
- სამინისტრომ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საწარმოში სპეციალური მმართველის დანიშვნა, „რომელიც იქნება პასუხისმგებელი სიტუაციის ეტაპობრივ გამოსწორებაზე“.

# სპეციალური მმართველი

სამინისტრომ და გარემოს ეროვნულმა სააგენტომ მოითხოვეს:

- შპს „ჯორჯიან მანგანეზში“ სპეციალური მართვის რეჟიმის ამოქმედება არაუმეტეს 3 წლის ვადით.
- მართვა უნდა განეხორციელებინა სპეციალურ მმართველს და ამ თანამდებობაზე უნდა დანიშნულიყო ნიკოლოზ ჩიქოვანი.
- უნდა მინიჭებოდა არა მხოლოდ ლიცენზიისა და ნებართვის პირობების შესრულებასთან დაკავშირებული საქმიანობის, არამედ სრულად საწარმოს ერთპიროვნულად და დამოუკიდებლად მართვის უფლება.
- მმართველისათვის ყოველთვიური ანგარიშის სასამართლოსა და სამინისტროსათვის წარდგენის დავალდებულებას და მისთვის 8000 ათასი ლარის ოდენობით ხელფასის დანიშვნას.

# სასამართლოს გადაწყვეტილება

- სპეციალური მმართველის დანიშვნის შუამდგომლობით თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 10 მაისს მიმართეს
- მოსამართლე ნინო ბუაჩიძე მაქსიმუმ 1,5 სამუშაო დღის განმავლობაში გაეცნო 1218 ფურცელზე წარდგენილ ინფორმაციას, გაიაზრა, მიიღო გადაწყვეტილება და 30 გვერდიანი გადაწყვეტილება დაწერა.

# ვინ არის სპეციალური მმართველი?

- „სპეციალურ მმართველად, წარდგენილ და დანიშნულ იქნა ნიკოლოზ ჩიქოვანი, რომელსაც გააჩნია დიდი გამოცდილება სს ,,ფეროშენადნობთა ქარხანა“ მუშაობისა, რომელიც კარგად იცნობს ასევე შპს “ჯორჯიან მანგანეზი”-ში არსებულ პრობლემებს და ვფიქრობთ, იგი დროულად შეძლებს მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის ეტაპობრივ გამოსწორებას ჭიათურასა და  ზესტაფონში“.

# ვინ არის სპეციალური მმართველი?

- CV - 2003-2008 წლებში სს ფერო-ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში გენერალური დირექტორის თანამდებობას იკავებდა სინამდვილეში -2006მდე;
- 2005 წლის ბოლოს ფინანსურმა პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის თავის არიდებისა და საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევის ფაქტებზე - 107,0 მლნ. ლარი .

# გეგმა

- ეკოლოგიისა და რეკულტივაციის სამსახურის შექმნა
- გარემოსდაცვითი აუდიტის ჩატარება 01.12.2017
- ლაბორატორიის ექსპლუატაციაში გაშვება 30.06.2017
- საწარმოო ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება 15.07.2017-დან
- გარემოსდაცვითი მონიტორინგის განხორციელება 01.08.2017-დან
- ადგილობრივი გზების საფარი - საჭიროების შემთხვევაში
- მდ. ყვირილას დაბინძურებისგან დაცვა -01.01.2018წ-მდე

# გეგმა

- ახალ საწარმოში წარმოქმნილი შლამების განთავსება-დასაწყობება - მშენებლობის დაწყებამდე
- ახალი ქარხნის მშენებლობა და ექსპლუატაციაში გაშვება - 31.12.2018-მდე
- ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის მომზადება, ფერო - 01.06.2019-მდე
- აკ.წერეთლის სახ. მაღაროზე ე.წ. „საშევარდნოს“ კარიერის გაუქმება
- სპეციალური ტყითსარგებლობის უფლების მიღება
- საბადოზე ღია კარიერებზე ტერიტორიების ეტაპობრივი რეკულტივაცია
- ცხელი ხაზი

# რა ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას კომპანია

- http://www.gaalloys.ge/ - ინფორმაცია კომპანიების შესახებ და მმართველი გუნდის წევრების შესახებ;
- სიახლეები ქვეყნდება ყოველთვიურ კორპორატიულ გაზეთში „ინდუსტრიული მაცნე- აქტიურად ვრცელდება სოციალური ქსელის მეშვეობით.
- ადგილობრივ ტელეარხებზე (იმერვიზია, არგო TV და დრო) გადის ყოველკვირეული გადაცემა „ინდუსტრიული მაცნე“, რომელიც ასევე, ვრცელდება youtube-ის და facebook-ის მეშვეობით

# რა ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას კომპანია

არ არის წარმოდგენილი:

- გარემოზე ზემოქმედების ნებართვის და/ან ლიცენზიის შესახებ ინფორმაცია და/ან თავად დოკუმენტები
- კომპანიის საქმიანობის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ადამიანების ჯანმრთელობაზე და სოციალურ მდგომარეობაზე გავლენის, ამ გავლენის შემსუბუქებისათვის გათვალისწინებული ქმედებების და/ან გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია;
- გარემოსდაცვითი მართვის გეგმები;

# რა ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას კომპანია

არ არის წარმოდგენილი:

- რაიმე სახის რჩევები ან მითითებები მოსახლეობისთვის კომპანიის მიერ წარმოებული სამუშაოების შესახებ;
- როგორ უნდა მოიქცეს საწარმოების საქმიანობის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოქალაქე პრომლემური საკითხის მოგვარებისათვის, ვის უნდა მიმართოს საწარმოს საქმიანობის შედეგად დაზარალების შემთხვევაში;
- კომპანიის ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი საკონტაქტო ინფორმაცია.